ოქმი:ო37. 37232978
თარიღი:24/10/2023

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ჭაკნელიძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი,18 ოქტომბერი
სოფ. შრომა
16:30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები,მერის წარმომადგენლები

სოფ. შრომასა და დაბა ურეკში. საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. დ. დარჩიამ აღნიშნა,რომ დავით ჭაკნელიძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი. იგი საკრებულოში თავმჯდომარეობს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას. არის „ფრაქცია ქართული- ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან,ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა დ. ჭაკნელიძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სოციალურ პროგრამებზე, ონკოლოგიურად დავადებულ პაციენტთა დახმარება, სოციალურად დაუცველების დასაქმება. დავით ჭაკნელიძემ აღნიშნა,რომ დასრულებულია სოფ. ხრიალეთში წყალმომარაგების ქსელის სამუშაო 140 ოჯახისათვის.დასასრულს უახლოვდება ვაკის უბანში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. ტენდერი დამთავრებულია და უახლოეს მომავალში დაიწყება

კულტურის სახლის რეაბილიტაცია სოფ. შრომაში, ასევე დაიგო 2-კმ. მანძილზე რკინა ბეტონის საფარი სოფ. შრომაში. დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებას დროებით ხელი შეუშალა სტიქიის შედეგად ჩამოწოლილმა მეწყერმა. დამეწყრილი ტერიტორიებიდან გასასახლებელია 60 ოჯახი.სტიქიის ზონიდან დროებით გაყვანილ მოსახლეობას გაეწია სათანადო სოციალური დახმარება.ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. საკრებულოს წევრის დავით ჭაკნელიძის საქმიანობა შეფასებულია დადებითად და უსურვეს მას წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დავით დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი